ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7533553

ნომერი: AR11097335

თარიღი : 25.06.2025

გაცემის თარიღი : 27.06.2025

გაცნობის თარიღი : 27.06.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა , N 14;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ ჭელიძე პ/ნ 01009001743
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 64 ბ. 30

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799399 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 25 ივნისის №AR11097335 განცხადებით მომართა ვახტანგ ჭელიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 11

დეკემბრის №6799399 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება და „ა“ და „ბ“ ბლოკების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ცალ-ცალკე დაფიქსირება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799399 ბრძანებით N01.13.01.004.173 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 11 დეკემბრიდან 2026 წლის 11 სექტემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799399 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას და ბრძანებაში, თითოეული ბლოკისთვის განსაზღვრული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლების დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე დაფიქსირებას.

სამსახურმა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799399 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს:

„ა“ ბლოკი:

- მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ): 9044.0
- განაშენიანების ფართობი (კვ.მ): 4316.0
- საერთო ფართობი (კვ.მ): 3335.0
- საოფისე ფართობი (კვ.მ): 1468.0
- კომერციული ფართობი (კვ.მ): 1007.0
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ): 193.0
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ): 150.6
- დამხმარე ფართობი (კვ.მ): 176.6
- სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ): 12750.0
- 0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ): 12750.0
- 0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ): 0
- შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ): 10.5
- 0.00 ნიშნულის ზევით (მ): 9.9
- 0.00 ნიშნულის ქვევით (მ): 0.6

„ბ“ ბლოკი:

- მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ): 9044.0
- განაშენიანების ფართობი (კვ.მ): 5291.6
- საერთო ფართობი (კვ.მ): 3920.2
- საოფისე ფართობი (კვ.მ): 2475.2
- კომერციული ფართობი (კვ.მ): 1220.0
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ): 239.2
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ): 150.6
- დამხმარე ფართობი (კვ.მ): 175.0
- სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ): 13800.0
- 0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ): 13800.0
- 0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ): 0
- შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ): 10.5
- 0.00 ნიშნულის ზევით (მ): 9.9

- 0.00 ნიშნულის ქვევით (მ): 0.6

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობი: 9607.6 კვ.მ., „ა“ და „ბ“ ბლოკების კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 2949.1 კ1=0.3 (2949.1:9044=0.3), კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 8231.1 კ2=0.9 (8231.1:9044=0.9), კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 1607.8 კ3=0.2 (1607.8:9044=0.2).

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799399 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799399 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.